№ 36

ხუთშაბათი, 19 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 8 | 8 — | 3 | 3 50 |
| 9 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 36

ხუთშაბათი, 19 თებერვალი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 22 თებერვალს, განსვენებულის

**საქართველოს მეფის ერეკლე II-ს**

დაკრძალვის დღეს გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მცხეთის ტაძარში. წირ-ვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (3—2)

**პირველი კერძო სამკურნალო**
**ექიმის ნავასარდიანისა**
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბუდინოვი**. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардіана*.
**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**
(წ)

ტფილისი, 18 თებერვალი

ჩვენი ერთი დიდი უბედურება ის არის, რომ დიდ-ძალი ყმაწვილ-კაცობა ჩვენი შინ, სოფლებშია დაბრუნებული და უქმადა ჰსხედს, რადგანაც არ იციან როგორ მოიხმარონ ის ძალ-ღონე, რომელიც თანა-ზდევს ჯან მრთელს და ხელ ღონიერს ახალგაზდობას. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ უფრო იმ ჯურა ყმაწვილ-კაცობაზე, რომელთაც ან ბეჯითობა არ მიჰყოლიათ სწავლის დასასრულებლად, ან უქონლობის გამო იძულებულ გამხდარან შუა-გზაზე შეეწყვიტათ სწავლა, ან უპატრონობით ადრე და მალე თავი დაუნებებიათ სკოლისათვის, მოტყუებულნი იმითი, რომ შინ ნაზუქი და ქადები დახვდებათ გაურჯელად და ხელ გაუნძრევლად.

მთელი ეს თაობა მთლად უქმია ჩვენის ქვეყნისათვის, მეტი და მძიმე ბარგია თვითეულ ოჯახისათვის და ოჯახი ამოდენა მუქთა-მჭამელს ძნელად იტანს და წელებზე ფეხ დაუდგმელად ვერ უძლვება. ჩვენში თითქმის არც ერთი სოფლური ოჯახი არ არის, რომ უქმი მჭამელი, წარბ-შეუხრელა ჲ, გაუჭირებლად ჰკვებოს და შეინახოს. არსად არ არის ისე აუცილებლად საჭირო, რომ ყველამ ოჯახში, თავისის უნარისამებრ, ცოტად თუ ბევრად შეაშველოს ხელი საერთო შრომას ოჯახისათვის. მამული გამოულეველი ბოლოზია, დაუშრეტელი წყაროა, თუ არ ძალიან გამდიდრებისათვის, იმისათვის მაინც, რომ კაცმა იცხოვროს გაუჭირებლად, ეგრედ წოდებულ „ფაქიზა კმაყოფილებით“.

ხოლო რომ მამულმა ესეთი სიკეთე გაუწიოს თავისს პატრონს, კაცმა მამულის პატივი და ყადრი უნდა იცოდეს. მამულიც იღლება, როგორც ყოველიფერი ამ ქვეყანაზე, და ამიტომაც ჩვენი ენა მამულის მახტას „ლალას“ ეძახის. უანგარიშოდ, გაუწყვეტლად რთმევა მამულსაც ისე ალარიბებს, როგორც ყოველსფერს. დიდხანს წოვნა მამულისა მისი გაუქმებაა, თუ თავისს დროზე ხელი არ შეუწყეთ და სასუქით ღონე არ აღუდგინეთ. ეს ყველასა აქვს გაგებული, ხოლო ყველამ არ იცის, რა მამულს რა გვარი სასუქი უნდა, რა ნათესის შემდეგ რა რიგი პატივი და მებრვე სხვა.

გარდა ამისა საჭიროა კაცმა იცოდეს, რა მამული რის უფრო მომცემია და ამ თვისებას მამულისას შეურჩიოს მოსაყვანიც, რომელსაც ბაზარში ფასი აქვს და მუშტარი ჰყავს. ყოველს სათესსაც და მოსაყვანსაც თავისი საკუთარი თვისება და უნარი აქვს. აქ ცოდნა უნდა, აქ სათესის და მოსაყვანის ხელი უნდა იცოდეს კაცმა, როგორ მოუმზადოს მიწა, როგორ დათესოს, როგორ მოუაროს და გაზარდოს ნათესი, თუ დარგული, ვიდრე ნათესს, თუ ნანერგს თავისის ბუნებურ დასასრულამდე მოჰყრიდეს.

რასაკვირველია, ყოველ ამისი ცოდნა მეცნიერულად ძნელია. ხოლო თუ კაცს უნდა, საქმითაც, ნახვითაც, დაკვირვებითაც ბევრს რასმეს იმისთანას შეიძენს, რომელიც დიდს შემწეობას მისცემს, თუ კაცს გარჯა უნდა მამულში და მარტო უცოდინარობა აყენებს. მაგალითებრ, ტფილისის სანაპიროებში ჩვენებურს მებაღეებს ისეთი ბოსტნები აქვთ, რომ კაცი ბევრს რასმე ისწავლის, თუ არ ითაკილა შრომა და გარჯა და ერთი წელიწადი მაინც თვალ-ყური ადევნა, თუნდ თვითონაც, თუნდ მუქთადაც იმუშავა ამ ბოსტნებში.

თუნდ ეგეც არ იყოს, თითო-ოროლა ჩვენშიაც მოიპოვება იმისთანა მამულის-პატრონები, რომელიც მამულებს სამაგალითოდ კარგად აკეთებენ. მაგალითებრ, საუფლისწულო ვენახები კახეთში, ღვინის დაყენება და მოვლა როგორც იმავ საუფლისწულო მამულში, აგრეთვე თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში მუხრანში. უფრო ბევრგან რუსეთსა, თუ საზღვარ გარედ იმისთანა სამაგალითო ფერმებია, იმისთანა სამაგალითო კეთება მამულებისა, იმდენი სხვა და სხვა გვარის სასოფლო მეურნეობის წარმოება, რომ ყოველს კაცს შეუძლიან ამოირჩიოს რომელიმე ნაწილი მეურნეობისა, რომელიც უფრო ეხალისება, ესაჭიროება და მისის მამულის შესაფერია და იგი ნაწილი მისს ადგილასვე საქმით შეისწავლოს. სულ ერთი წელიწადი რომ დაჰყოს ცოტაოდნად მიხვედრილმა და გონებიანმა კაცმა და ამ წლის განმავლობაში თავიდამ ბოლომდე ბეჯითად ადევნოს თვალი მის მიერ არჩეულ წარმოებას დაწყებიდამვე მოსავლამდე, და ყოველივე ნახული და ნაცადი დაისწავლოს და დაიხსომოს, ბევრ რიგად გამოიყენებს ამ გვარად შეძენილს ცოდნას თავისის ოჯახის ქონებითად გაძლიერებისათვის. ხე-ხილის მოვლა, ვაზის კეთება, ბევრ გვარ ბოსტნეულობისა ჱ იმისთანა ნათესის მოყვანა, რომელსაც ჩვენში კაი მუშტარი, კაი მაზანდა აქვს, ყოველივე ეს შეიძლება კაცმა ისწავლოს, თუ ერთი წელიწადი მაინც თვალ-ყური ადევნა, ნამეტნავად თუ თითონაც იმუშავა, იმიტომ-რომ ერთის წლის განმავლობაში ყოველს საჭირო სამუშაოს,

# ფელეტონი

## სვეტი-ცხოვლის ტაძარი

(შემდეგი *)

სვეტი-ცხოვლის ტაძარი აშენებულია ათთორმეტთა მოციქულთა სახელობაზედ და პირველი საძირკველი ჩაყრილია 30 ივნისს; რადგანაც უწინდელს დროში ჩვეულებად იყო დიდის ტაძრის შენება უეჭველად ათთორმეტთა მოციქულთა სახელობაზედ, რომლებმაც გაავრცელეს ქვეყანაზედ ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესია და რომელთაგანაც მოციქულებმა წმიდა ანდრიამ და სიმონ კანანელმა იქადაგეს ქრისტიანობა იბერია ქვეყანაში.

ტაძარი აღშენებულია სულ პოტალით და თლილის ქვისა. სახურავზე ახურია [illegible] ფერის ქვა, რომელთაგანაც თითო რომელიღაც არშინის სიგრძისაა, არშინზედ მეტის სიგანისა და [illegible] სისქისა, როგორც მითხრა ერთმა [illegible] ოსტატმა. ტაძრის კედლებს გარეგან, აღმოსავლეთითა და დასავლეთით, სახლებში აქვს,

დაც ღვთის-მსახურების გათავების შემდეგ თურმე ჩამწკრივდებოდნენ სულიერნი მამანი და მწყემსნი და გარს შემოეხვეოდა ხოლმე მრავალი ხალხი ღვთის სიტყვისა და დარიგების მოსასმენად. სამხრეთის გარე კედელი დასავლეთის მხრივ და ჩრდილოეთის კედელი, თუ მთლად არა, ზოგიერთი ნაწილი მაინც, როგორც ზედ ეტყობა და როგორც ამბობენ, ერთს დროს შიგნით კედლებად ყოფილან და რადგანაც იმათ იქით შენობა დაუქცევიათ, ეხლა გარე კედლებად არის დარჩენილი.

კედლებზედ გარედგან მრავალი სხვა-და-სხვა სურათია. აღმოსავლეთით ქვაზედ აღმოჭრილია შემდეგი სიტყვები: ,,მეფეთ მეფე გიორგისა, [illegible]

[illegible]

ზედ გარეგან შემდეგი წარწერაა: [illegible]

[illegible]

ჩვენთა სახსად, რათა მცველ მფარველ მექმენ დღესა მას განკითხვისასა. ქორონიკონს ტოგ“. ასო ,,გ“ მოშორებით სწერია.

ჩრდილოეთისკენ მაღლა კედელზედ დახატულია მკლავი წარწერით. გუმბათსაცა აქვს წარწერა ხუცურად, ამათი წაკითხვა შეუძლებელია სიმაღლის გამო, მაგრამ სინამდვილით შეიძლება ითქვას, რომ ეს გუმბათი მარიამ დედოფლის გაკეთებული უნდა იყოს.

კარი-ბჭეში დახატულია ღვთისმშობელი მაცხოვრით ხელში, ანგელოზებით გარეშემო და წარწერით ქვეშ. ამის შემდეგ შეხვალთ თუ არა ტაძარში, თქვენს თვალს მიიპყრობს [illegible], რომელიც დიდებულად არის დახატული [illegible] ხუცურის ასოებით წარწერით. მაცხოვარი მარჯვენა ხელით [illegible] „მე ვარ ნათელი [illegible]“. მაცხოვრის თავით ორივ მხრივ ანგელოზებია დახატული, მხოლოდ მაცხოვრის გარეშემო დახატულია სასწაულებრივი ხილვანი, რომლებიც

იხილა წინასწარმეტყველმა ეზეკიილმა. მარჯვნივ უკანა კედელთან თქვენ დაინახავთ ქვის ემბაზს, რომელიცა უწინ ნათლობის დროს უხმარიათ.

მარჯვნივ მხარეზედვე უფრო წინ გაკეთებულია პატარა ქვის საყდარი. ამ ადგილას ჰლოცულობდა წმ. ნინო, როდესაც მოდიოდა კვიპაროსის ხესთან ღვთის სავედრებლად. ამ საყდრის ახლო არის სვეტი-ცხოვლის ადგილი. ამ ადგილას არის დაცული დედამიწაში უფლის კვართი ჱ მართალის სიდონიას გვამი. ამ ადგილას მოახდინა სასწაულები კვიპაროსის ხის სვეტმა და ამ ადგილას გვიწყალობებდა უფალი წმიდა მირონს. აქ არის ქვითქონის ოთხ-კუთხიანი სვეტი, რომლის განგრძობაშიც შეადგენს ოთხი უფრო მომცრო სვეტები; ამ სვეტებს ზევიდან ადგა სახურავი, ძირს-კი გარს არტყია კარებიანი მოაჯირი. აშენებული სვეტი შემკულია კედლებზე ნახატის სურათებით, ანუ ფრესკებითა, რომლებიცა [illegible] აქვთ საქართველოს [illegible] ისტორიის შინაარსი: [illegible] ბული ანგელოზებით, მირიან მეფე დაბრძანებული ნადირობის დროს, ანტიოქიის პატრიარქი ესტატე აკურთხებს მცხეთის ტაძარს...

სვეტს დასავლეთის მხრივ გაკეთებული აქვს ორი, ზევიდგან ვერცხლგაკეთებული, ხის კარები მოაჯირის შიგნით სვეტის გარშემო ხატებია ჩამწკრივებული.

სვეტი-ცხოვლის წინ არის საკათალიკოსო ტახტი, ანუ კათედრა, შემკული სხვა-და-სხვა შინაარსის ფრესკებითა.

საკათალიკოსო კათედრის იქით აღმოსავლეთის მხრივ მდებარეობს მარმარილოს სამეფო მოხდენილი ტახტი. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ქართველებს არ უყვარდათ მდიდრულად მოწყობა. ამ საუკუნის წინად როდი არსებობდა სახელმწიფოში ისეთი განწყობილება, როგორი განწყობილებაც შეჰქმნა ეხლანდელმა განათლებულმა ევროპამ. მაშინ ძალმომრეობა და ტაციობა ჰსუფევდა და საქართველოს, რომელსაც ერთი დღე არა ჰქონდა მოსვენება მტრებისაგან, როგორ მოეწყო მდიდრულად თავისი ტაძარი, ხშირად მაჰმადიანთა დასარბევად გამხდარი.

გარდმოცემით სვეტი-ცხოვლის ტაძარს სულ პირველად ქვის კანკელი ჰქონია. რამდენიმე ქვა იმ კანკელისა ინახება ტაძარში. ქვის კანკე-

*) იხ. „ივერია“ № 35.

მიწის გაპატივებიდამ დაწყებული მოსავლამდე, თავისის თვალითა ჰნახავს, თავისის საკუთარის გამოცდილებით და გარჯით იცოდინებს.

თუ ვინმე მოისურვებს ამ სასარგებლო გზაზე დადგომას, ნუ იფიქრებს, რომ ამას დიდი ხარჯი მოუნდება. წასვლა-მოსვლა და ადგილის ცხოვრება ბევრი არა დაუჯდება-რა, თუ თავ-მოწონებას არ აჰყვა, აქაო თავადი ვარ, ან აზნაური და შესაფერად უნდა ვიარო და ვიცხოვროო. მსურველმა მარტო ის უნდა გამოინასკოს გულში, რომ იგი საქმისათვის მიდის და არა ქეიფისათვის. საქმიანი კაცი სიღარიბით ცხოვრებას არ უნდა ჰთაკილობდეს, რაკი ღარიბია. სიღარიბე სამარცხვინო არასოდეს არ ყოფილა. სამარცხვინოა მეტ ბარგად და მუქთა-მჭამელად გდება ოჯახში. ამიტომაც ხელმოჭერით წასვლა-მოსვლა, გამოზოგვით ცხოვრება სწავლისათვის არავისათვის სათაკილო არ არის. პირიქით, დიდად სასახელოა ყოველ გონიერ კაცის თვალში, როცა ჰხედავს, რომ ყმაწვილი კაცი ილვწის გაჭირებული და ღარიბი იმისათვის, რომ მერე მეტ-ბარგად არავის აეკიდოს და პატიოსანის შრომით თვითონაც იცხოვროს და სხვაც აცხოვროს.

არც ის იქნება სათაკილო, თუ რომელსამე ფერმასა, ან სამაგალითო მამულში სადმე თუნდ უბრალო მუშად მიებაროს, გინდ მუქთადაც, მინამ რასმე ისწავლიდეს. ამ გზით ცოდნის შეძენა უფრო ადვილია, უფრო მკვიდრი, უფრო ძლიერი და ზედმიწევნილი. მარტო თვალით ნახვა იმოდენას არას მისცემს, რაც თავისის ხელით ნაკეთი და შემუშავებული. შრომა, რა სახისაც და გვარისაც გინდ იყოს, ყოველთვის სასახელოა და პატივით სახსენებელი. სამარცხვინოა მარტო უქმობა და მუქთა მჭამელობა. „ბუნებამაო, ამბობს ერთი ბრძენი: შრომა საჭიროებად გაგვიხადაო“. მართალიც არის. თუ არ ვიშრომეთ, ან შიმშილით უნდა დავიხოცნეთ, ან სხვას მჭამელად ჩავებუდნეთ. ესეც ერთი სიკვდილია ცოცხალ და ჯანმრთელ ადამიანისათვის.

განა ურიგო იქნება, რომ ჩვენმა ყმაწვილ-კაცობამ, რომელიც დღეს სწავლა-დაუსრულებლად შინ სოფელში ჰზის, არც თავისს თავს ჰრგებს და არც სხვას და უქმობისაგან არ იცის რით დააღამოს დღე, თვითონაცა სწუხს უსაქმურობით და სხვასაც აწუხებს და თუ თავს იჩენს რაშიმე, მარტო ქეიფსა, ლხინსა და ღვინის სმაში, ვამბობთ, განა ურიგო იქნება, რომ, რაკი სხვა გზით ვერ მოუხერხდათ ცხოვრება, ზემოხსენებულ გზას დაადგნენ, ამ გზით ცოდნა რისამე შეიძინონ და თავისს თავსაც გამოადგნენ და სხვასაც... კიდევ ვიტყვით: ამ გზით ცოდნის შეძენას არც დიდი წინასწარი სწავლა და მომზადება უნდა, არც დიდი ხარჯი. ამას მარტო სურვილი უნდა, სურვილი გამოსადეგ კაცად გახდომისა, სურვილი ოჯახისა და ქვეყნის სიკეთისა, წინ-წაწევისა, გაძლიერებისა, სურვილი კაცურ-კაცობისა. არა გვგონია, ჩვენს ყმაწვილ-კაცობაში ესეთი სურვილი არ მოიპოებოდეს.

განა დიდი რამ არის კაცმა გამოიმეტოს ერთის წლის მცირეოდენი ხარჯი შეძლებისა დაგვარად და თუნდ ერთი წელიწადი შიმშილი და წყურვილი გამოიაროს იმისთვის რომ ისწავლოს და იცოდინოს ერთი რომელიმე ხელო, ბა მამულის მოვლისა და კეთებისა, მერე მოვიდეს შინ, თითონაც საქმეს დაადგეს და ოჯახსაც როგორმე უშველოს გამოკეთდეს და ფეხზე დაჰდგეს!.. რამოდენა მარჯვენა, რამოდენა მხნეობა და გარჯა აკლია ჩვენს ქვეყანას, მერე ვისი? ყმაწვილ-კაცობისა, რომელსაც ამისათვის ახალგაზდური ღონეცა აქვს და შეძლებელობაც მხნეობისა და გარჯისა, თუ კი მოისურვებს და სირცხვილად ჩასთვლის დღევანდელს უქმობას. ბევრ გვარად შეიძლება ქვეყანას ემსახუროს კაცმა და ერთ გვარი სამსახური ის იქნება, თუ ვინმე, რაკი სხვა გზა დახშული აქვს, ამ გზით მაინც შეეწევა თავისს მამულს, თავისს ოჯახს და ყოველ ამით თავისს ქვეყანასაც. სასახელო კაცი იგი-კი არ არის, ვინც დიდს საქმეს ეკიდება და მისის ზიდვის უნარი კი არა აქვს, არამედ ის, ვინც იმას აკეთებს, რაც შეუძლიან, რაც ხელიდამ გამოუვა თავისის თავისა და სხვის სასარგებლოდ.

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: თავადი ამირაჯიბი—ტფილისის ოლქის სასამართლოს საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ.

დათხოვნილ იქმნა: თანამდებობიდგან ავადმყოფობისა გამო, თავისისავე თხოვნის თანახმად, ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი, დეისტვიტელნი სტატსკი-სოვეტნიკი წინამძღვრიშვილი.

## ახალი ამბავი

.*. დღეს, 19 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზედ, დანიშნულია მკურნალთა კრება ტფილისის გუბერნატორის თ. ა. ბიკოვის თავმჯდომარეობით. კრებაზედ მიწვეულია ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორი გ. ი. სტეფანოვი. კრებამ უნდა განიხილოს უმაღლესის ნებართვით დაარსებულ კრების ღონისძიებანი, რუსეთის იმპერიაში სიფილისის გავრცელების წინააღმდეგ.

.*. ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულმა კრებამ განიხილა 17 თებერვალს საქმე იმის შესახებ, რითი დაფარონ მიმდინარე წლის დეფიციტი 96,482 მანათისა. დიდის ხნის კამათის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა: 1) მოემატოს 100 მანათი ხარის ხორცის გამოკვლევისათვის გარდასახადს; 2) გადადებულ იქმნას ხარჯი: 1684 მანათი ტყის გაშენებაზე, 2000 მანათი ავლაბარში ბაღის გამართვაზედ, 1300 მანათი მახათის მთაზე საყარაულოს გამართვაზე, 3892 მანათი ქალაქის პირველ სამბლიგაციო სესხიდგან ფულის აღებაზე. სულ 8846 მანათი. დარჩა კიდევ დეფიციტი 87,636 მ. ამ ფულის გასასტუმრებლად გადმოღებულ იქმნება 1897 წლის ანგარიშიდგან 8,200 მან., 1898 წლის მამულების დაფასების გარდასახადს მოემატოს $^{1}/_{8}\%$, ამ გვარად შედგება 50,592 მან., მოემატოს დაფასების დარჩენილს გარდასახადს ანუ, ნედოიმკებს 27,844 მანათი.

.*. 16 თებერვალს, ტფილისის მკურნალთა კრებაზედ მკურნალმა ნ. ა. სახაროვმა წაიკითხა მოხსენება, რომელიც ჩვენის სოფლის მემამულეთათვის ძლიერ საყურადღებო უნდა იყოს. ამ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ მოსკოვის საბაქტერიოლოგიო ინსპექტორს გაბრიჩევსკის მოუგონია წამალი იხვებისა და ბატების სენის წინააღმდეგ, რომელიც კავკასიის ზოგიერთ ადგილში ამ ფრინველს მუსრს ავლებს ხოლმე. ეს წამალი მკურნალს ნ. ა. სახაროვს უცდია და ძლიერ კარგი აღმოჩენილა. ამასთანავე ბ-ნმა ნ. ა. სახაროვმა სთქვა, მკურნალმა გაბრიჩევსკიმ განაცხადა, ამ წამალსა და შესაფერ რჩევა-დარიგებას ყველა მსურველთ მუქთად გაუგზავნიო.

.*. ტფილისის ქალაქის გამგეობამ 16 თებერვლის კრებაზედ მოილაპარაკა იმის შესახებ, როგორა ვცეთ პატივი საქართველოს მეფის ირაკლი მე-II-ის ხსენებას მისის გარდაცვალებიდგან ასი წლის შესრულების გამო და დაადგინა: 1) 22 თებერვალს, დღის 12 საათზედ, საბჭოს დარბაზში განსვენებულის მეფის ერეკლეს სულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქმნას გარდახდილი და პანაშვიდზედ დასასწრებლად მოწვეულ იქმნენ ტფილისის გუბერნატორი, მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი და მეფის ირაკლის პატივსაცემლად დაარსებულ კომისიის წევრები, ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრნი, პოლიცმეისტერი და მისი თანაშემწე, საბჭოს ხმოსნები, ხელოსანთა მოურავი, ამქრების უსტაბაშები და მათი თანაშემწეები, მოქალაქეთა მოურავი და დეპუტატები, ვაჭართა მოურავი, მისი ამხანაგები, და ყველა მოხელეობა ქალაქის თვით მმართველობისა, სამღრთო სჯულის მასწავლებლები ქალაქისა და სახელოსნო სასწავლებლებისა, მართლმადიდებლისა და სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოებისა; 2) მიმდინარე წლის ხარჯ-აღრიცხვით დასაარსებელ სამ სასწავლებელს ეწოდოს ერეკლეს სახელი და ამათ სანაცვლოდ 1899 წ. ხარჯთ-აღრიცხვით ქალაქში სხვა ახალი სამი სასწავლებელი დაარსდეს; 3) მეფე ერეკლე მე-II-ის პატივსაცემლად ექსარხოსის მოედნიდგან სიონის ქუჩისკენ მიმავალს ქუჩას ერეკლეს სახელი ეწოდოს.

.*. სამშაბათს, 17 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატას უნდა განეხილა იმ სამის ბრილელ გლეხის საქმე, რომელთაც თავ. ნ. დიასამიძის მოკვლა ჰბრალდებათ, მაგრამ ერთის დაბარებულის მოწმის მოუსვლელობისა გამო პალატამ საქმის განხილვა 31 მარტისთვის გადასდო.

.*. 17 თებერვალს კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოს უნდა განეხილა ასლანდუზის ზურგის ბატალიონის პორუჩიკის თავ. ჯორჯაძის საქმე, რომელსაც გამწვევებისა და განრისხების დროს კაცის მოკვლა ჰბრალდება, მაგრამ ბრალდებულის თხოვნისამებრ, რომ ჩემი დამცველი ნაფიცი ვექილი ტერსტეფანოვი ბაქოშია დ სასამართლოში ვერ გამოცხადდებაო, საქმის განხილვა გადადებულ იქმნა.

.*. ტფილისის სამოსამართლო პალატამ 17 თებერვალს განიხილა ნაფიც ვექილის თანაშემწის გ. ბ. გვაზავას საქმე, რომელიც უჩიოდა „კავკასის“ რედაქტორად ნამყოფს იუ. ნ. მილიუტინსა და თანამშრომელს ი. ლ. ბახტაძეს, რომ ბეჭვდითი სიტყვის შემწეობით ცილი დამწამესო დ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ბრალდებულნი გამართლებულ იქმნენ, ხოლო ბ-ნ გვაზავას სააპელაციო საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა.

---

ლის შემდეგ ტაძარს ამშვენებდა ტილოზედ დახატული წმიდა სურათები ხის ჩარჩოებით. ეს წმიდა ხატები ახლაც შეგიძლიანთ ჰნახოთ სვეტიცხოველში. ეხლანდელი კანკელი ხისაა და შემკულია ძირს ქართველთა წმიდა მამებით, ერთი მხრიდგან მეორემდის გაყოლებით და მთლად მოჭედილია სხვა-და-სხვა ქვით.

საკურთხევლის მარჯვნივ მხარეზედ ყოფილა აშენებული პატარა საყდარი ილია წინასწარმეტყველის სახელობაზედ, სადაც თურმე ინახებოდა ხსენებულის წინასწარმეტყველის მილოტი, მოტანილი ებრაელთაგან ურიასტანიდგან გადმოსახლების დროს. სამხრეთ-აღმოსავლეთით კედელზედ შენიშნავთ შესანიშნავს ფრესკებს. ასე გეგონებათ, მთელი ქვეყანა აქ არის დახატულიო. ეს ფრესკები აღნიშნავს შინაარსს საღმრთო წიგნისას, რომელსაც სახელად ეწოდება გამოცხადება იოანესი. წინად მთელი ტაძარი ყოფილა შემკული ამისთანა ფრესკებითა.

საკურთხეველში ჩვიდმეტი მაღალთაღიანი კათედრაა, ანუ დასაჯდომელი, დაბლა დაშვებულის საფეხურით. ამ საფეხურის ქვევით გაერთებული დასაჯდომელია. მაღალი დასაჯდომელი ეკუთვნოდა ეპისკოპოსობის ხარისხით აღჭურვილთ. უპირატესი დასაჯდომელი მაცხოვრის ქვეშ იყო მომზადებული მწირველ კათოლიკოსისთვის, რომლის გარეშემოც დანარჩენ თექვსმეტს დასაჯდომელზედ დაბრძანდებოდნენ ხოლმე კათალიკოსთან მწირველნი არქიელები. გაერთებულ დაბალ დასაჯდომელზედ ისხდნენ წირვის დროს, როდესაც სამოციქულო იკითხებოდა, სამღვდელონი მღვდლობის ხარისხით შემოსილნი. მგალობლები, როგორც ამბობენ, სამგან იდგნენ. უმთავრესი ხორო იდგა ტაძრის უკანა მოაჯირთან, დანარჩენი ორი ხორო ორ დანარჩენ მოაჯირთან, რომლებიც გაკეთებულია ტაძრის მარჯვნივ და მარცხნივ მხარეზედ საკურთხევლის გვერდით. წარმოვიდგინოთ, რა ბრწყინვალე ღვთის-მსახურება ყოფილა ქართველთა იერუსალიმში: ვხედავთ მწირველს კათალიკოსს, მასთან თექვსმეტს არქიელს და მრავალ რჩეულს სამღვდელოებას, სამღვდელო და სამონაზონო დასისას. ორმოცის საჟენის მანძილზედ სდგას მგალობელთა ხორო. იმათ ნაცვლად ზოგჯერ სხვა ხორო ჰგალობს საკურთხევლის ხან მარჯვენა მხარეს და ხან მარცხენაზედ. მლოცველთა შორის ბრძანდება მეფე, რომელიც განსაკუთრებულს ტახტზედ იმყოფება. მეფის გვერდით სდგას სამეფო სახლობა, რომლის შემდეგაც დასავლეთით სდგანან საქართველოს სამეფოს დიდებულნი. აქ ამათ მიერ გაისმის ლოცვა და ვედრება ღვთის სახელისა და დიდებისა, რომელთანაც შედუღებულია მამულის სახელი და დიდება.

საკურთხევლის გვერდზედ მდებარეობს სალარო, საცა ფრიად შესანიშნავი ნივთები ინახება. სალაროს გვერდით აქვს ფანჯარა. კიბის შემწეობით ასცილდებით ამ ფანჯარას და შეხვალთ დიდებულს შენობაში, რომელსაც შეუძლიან თვით ისიც-კი გააკვირვოს, ვისაც მთელის ქვეყნის დიდებული შენობანი აქვს დათვალიერებული. რამდენჯერმე მოგიხდებათ სხვა-და-სხვა კიბეზედ ასვლა. გახვალთ მოაჯირზედ, მოაჯირებიდგან საკურთხეველში დაინახავთ მთავარ ანგელოზებს, იოანნე ნათლისმცემელს, რომლებიც ძალიან დიდ ხატებად უნდა ჩაითვალონ თავისის სიდიდით.

ზევითკენ წასულმა რომ გადმოიხედოთ, შეგზარავთ. კარგად მიჩვეული უნდა იყოს კაცის თვალი სიმაღლიდგან გარდმოხედვას, რომ იმან უშიშრად გარდმოიხედოს გუმბათის ძირიდგან.

დაათვალიერეთ კარგად და დარწმუნდებით, რა შესაბრალისს მდგომარეობაშია სვეტი-ცხოვლის ტაძარი, რომლის სახურავიც მეტად დაზიანებულია. მარცხნივ მხარეზედ სულ ზემო სახურავი ჩამოწოლილა და თავისი ლოდებითა და ქვითკირით დასწოლია ქვემო სახურავს, რომელიც, ზემოდგან ჩამონადენის წვიმის წყლით გაჟღენთილი, დაბლა ტაძარში წვიმას უშვებს. წვიმის გარდა, ქვა და მაგარი ქვითკირიც ხშირად ჩამოდის. ეს იფიქრეთ, რომ ზემო სახურავიდგან ჩამოდის და ჩამოდის ქვა და ქვითკირი და ნუ თუ წვიმისაგან გაჩანაგებულს ქვემო სახურავს დიდხანს შეუძლიან დაიმაგროს თანდათან მომატებული სიმძიმე? ერთ ადგილას სჩანს მილები, რომლებიც გაუკეთებია ზემო სახურავიდგან ჩამოდენილს წვიმას ქვემო სახურავში სამკვეთლოს ზემოდგან.

ტაძრის დასავლეთის მხარეს, სულ ზემო სახურავიდგან რამდენიმე სარკმელია ძირს ჩასასვლელი. შიგნით სახურავი ისეთს რთულს ლაბირინტს წარმოადგენს, რომ თუ ამ გზების მცოდნე წინამძღვარი არა ჰყავს ხამს კაცს, გზა უეჭველად აერევა და შიშისაგან შეფიქრიანდება. დაათვალიერეთ თავიდგან ბოლომდის მცხეთის ტაძრის სახურავი და დარწმუნდებით, რომ ის იყო არა მარტო ღვთის სამლოცველო, არამედ კარგი სამალავი ალაგიც შიშიანობის დროს. სახურავის ოთახები ისეა დატანებული, რომ შიგ რამდენიმე ასი სული ადამიანი მოთავსდება. ერთს ოთახს გრძელი გამოქვაბული აქვს კედელში, ქვის კარებიანი, საცაც ჰმალავდნენ თურმე ტაძრის ძვირფასეულობას და თან კარებს ქვით ჰქოლავდნენ, რომ ვერავის მიეგნო ამ ადგილისათვის.

ტაძარში რამდენიმე ტრაპეზი ყოფილა: წმიდა წინასწარმეტყველის ილიას ტაძარში, სვეტი ცხოველთან ქვის საყდარში და უმთავრესი ტრაპეზი, რომელიც ეხლაც არსებობს და რომლის ქვეშაც ასაფლავია წმიდა მღვდელ-მოწამე აბიბოს, ნეკრესელი ეპისკოპოსი.

კანკელის ორივ მხრივ გაკეთებულია ხატები, წმიდა ნაწილებით შემკული. ხატებს აქვს ოთხ-კუთხიანი

*** ქალაქის მოურავმა გ. გ. ევანგულოვმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ტფილისის ქალაქის გამგეობას გამოსცეს ხოლმე „საბჭოს უწყებანი“ კვირაში ორჯელ. ქალაქ ტფილისის მეურნეობის შესახების წერილების გარდა, აზრადა აქვთ უწყებებში დაჰბეჭდონ ხოლმე სხვა ქალაქების მეურნეობათა მიმოხილვა, მთავრობის განკარგულებანი და განცხადებანიც. „უწყებანი“ წელიწადში გაგზავნით ეღირება 5 მ.

*** სჯულის საქმეთა მინისტრთა განკარგულებით ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი გრიგოლ ბექანის ძე წინამძღვარიშვილი ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან. ბ-ნ წინამძღვარიშვილი სრული 30 წელიწადია, რაც ამ თანამდებობას ასრულებს, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ წინამძღვარიშვილი 1850 წელს სამსახურში პირველად კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიაში შევიდა. კავკასიაში სამოსამართლო ცვლილებათა შემოღებამდე გ. ბ. შემდეგი თანამდებობანი ეჭირა: ტფილისის სამაზრო სასამართლოს წევრისა, ტფილისის საგუბერნიო ბრალმდებელის ამხანაგისა და ტფილისის სამომართლო პალატის მრჩეველისა. ბ-ნი წინამძღვრიშვილი მუდამ ბეჯითად, სინიდისიერად და პატიოსნად ასრულებდა თავისს მოვალეობას. უკანასკნელ დროს ავადმყოფობა დასჩემდა. ექიმების რჩევით იძულებული გახდა მუშაობაზედ ხელი აეღო და ბოლოს სულ თავი დაენებებინა თანამდებობისათვის. 50 წლის სამსახურით გრიგოლ ბექანის ძემ მხოლოდ პენსია დაიმსახურა, რომელიც იმის ერთად ერთს ცხოვრების სახსარს შეადგენს.

*** გუშინ, 18 თებერვალს, ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

*** რაც ქალაქის ახალი მოურავი თანამდებობის აღსრულებას შეუდგა, გამგეობის წევრთ ასე გაინაწილეს საქმეები: ქალაქის მოურავმა ქალაქის მეურნეობის საზოგადო მეთვალყურეობის გარდა იკისრა ქალაქის სხვა-და-სხვა შუამდგომლობათა შემუშავება და სწავლა-განათლებისა და საქველ-მოქმედო საქმეთა მმართველობა; გამგეობის წევრმა ივანენკომ—გამგეობის ბუჰგალტერიისა და კასის მეთვალყურეობა; ხოსროევმა ჩაიბარა განკარგულებათა გაცემის ნაწილი, კერძო კაცთა სახლების აგებისა და შეკეთების ნებართვის მიცემა და ტრაქტირის დაარსების ნებართვის მოწმობების მიცემა. ვერმიშევმა ჩაიბარა საალმშენებლო საქმეთა ნაწილი და დასასრულ თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ-სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის გამგეობა და ბაზრის მეთვალყურეობა.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის პეტერბურგში ყოფნის დროს იმის თანადასწრებით განხილულ იქმნება ზოგიერთი ჩვენის მხრისათვის მნიშვნელოვანი საგანი; სხვათა შორის, გაზ. „Сынъ Отеч.“ სიტყვით განიხილვენ შემდეგ საგნებს: 1, კავკასიაში ავაზაკობის მოსპობის საშუალებანი; 2, რომელ ადგილას უნდა იქმნას დაარსებული კავკასიაში პოლიტეხნიკუმი და 3, კავკასიის სხვა ერთათვის რუსულის ენის შესასწავლად სასწავლებელთა დაარსების შესახებ.

*** გაზ. „კავკასსა“ სწერენ გორის მაზრიდან, რომ აქ ჩამოსულმა ბეითალმა ვიენიკევიჩმა საქონლის ჭირის მეცნიერულად გამოსაკვლევად ატენის ხეობა აირჩია, რადგან ამ ხეობიდგან ადვილად არ გავრცელდება ჭირი სხვა ადგილებშიო.

*** ს. ხელვაჩაური (ქართლი). ს. ავლევიდგან სწერენ გაზ. „Сн. ფურ.“-ს, რომ ადგილობრივ მემამულეს, ახალგაზდა აგრონომს, თავად კონსტანტინე მიხეილის ძე ამირეჯიბს განუზრახავს და განუხორციელებია კიდეც ფრიად საშვილიშვილო საქმე. შეუწირავს თავისს მამულში სამოცი დესეტინა მიწა სამეურნეო სკოლისათვის შენობითა და ყოველ გვარის მოწყობილობით. თავადი ამირეჯიბი თურმე ამ სკოლას ამ ცოტას ხანში დააარსებს.

*** 17 თებერვალს ღამის 1 საათზედ, ავჭალის ქუჩაზედ რკინის გზის ხიდის მახლობლად ვიღაც ბოროტ-მოქმედმა მოჰკლა თელავის მცხოვრებელი მიხეილ ბუგიანაშვილი, 37 წლისა, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეპოში ჰმუშაობდა დღიურად და მცირე ფულს იღებდა. ამ დღეს საცოდავი დეპოში სამუშაოდ ღამეც დარჩენილა, რომ ეგება ცოტა მეტი ფული ვიშოვო მუშაობით და ღამის 12 საათზედ ერთის ამხანაგით წამოსულა სახლისკენ. რკინის გზის ხიდთან ამხანაგი გამოსთხოვებია და ბუგიანაშვილი ავჭალის ქუჩისკენ დაშვებულა. აქ შუა ქუჩაში ვიღაც დასცემია და ხანჯალი დაურტყავს უკანიდგან თავში. შემდეგ, როცა დაჭრილი მიბრუნებულა, ბოროტ-მოქმედს ხელახლად დაუშენია ხანჯალი პირისახესა და თავში, რამდენსამე ალაგას დაუჭრია და საცალა მიმალულა. დაჭრილ-დაკეპილი და სისხლით მოსვრილი ბუგიაშვილი დაუნახავს მეეტლეს, რომელიც სახლისკენ მოდიოდა თურმე, და მაშინვე პოლიციელის ძებნა დაუწყია, პოლიციამ მოკლული ბუგიაშვილი ჰნახა დილის 7 საათზედ, სისხლით მოსვრილი შუა ქუჩაში ეგდო თურმე და იმის მახლობლადვე ეყარა ორი კალათა და ჩაქუჩი. კალათაში პური, ჩაი და იარაღები ჰქონია. ბუგიაშვილს ახალგაზდა ცოლი დარჩენია.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. კონდოლი, (ზემო-კახეთი).** კონდოლი მოზრდილი სოფელი გახლავთ ზემო კახეთში და წარჩინებული ადგილი უჭირავს სხვა სოფლებ შორის ეხლა და უწინ ხომ უპირველესიც იყო. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც სოფელმა უკან-უკან იწყო წევა ხალხთა რიცხვით და ქონებით. ამისი მიზეზი გახლავთ დაცემული მდებარეობა კონდოლისა, შაობიანი ადგილი, ალაზნის სიახლოვე თავისის ჭაობებით და იქიდგან გავრცელებული ცუდი და მავნებელი ჰაერი. აქედგან წარმოსდგება სოფლელების დაჯანდაგება, და ავადმყოფობა ციებ-ცხელებით და სხვა სენით და წუთის-სოფლის გამოსალმება. უწინდელი უზარმაზარი სოფელი, თავისი 500-600 კომლით, ეხლა ძლივს წარმოადგენს 300-400 კომლს, რომელიც თან-დათან უფრო ჰკლებულობს. მარტო ამ ზამთარსა და შემოდგომაზედ გარდაიცვალა, მცირე წლოვანი რო არ მივათვალოთ, 10-15 კაცი. რასაკვირველია, რომ როცა სოფელს ამოდენა მუშა ხალხი, ამოდენა ქონებისა და სარჩოს შინ შემტანი აკლდება, ქონებით ძირს დაიწევს, დაუძლურდება შინაურსა და გარეშე ხარჯს ველარ გაუძლებს, დაედება სხვა-და-სხვა გარდასახადი და ვალები და ქონება გაეყიდება. სწორედ ამ ყოფაში გახლავთ ჩვენი სოფელი.

ამას კიდევ მოურიგდება კაცი, მოითმენს, კიდრე მოეთმინება, იცხოვრებს, კიდრე პირში სული უდგა და იბრძოლებს, კიდრე ებრძოლება და ჯანი შესწევს. რა ჰქმნას თითონ, რო ცუდი და შაობიანი მდებარეობა არის? აქ დამნაშავე არავინ არის, ბუნების გარდა, და აბა ვინ გაჰბედავს ბუნებასთან შებრძოლებას და შეტაკებას; უნდა კაცმა მოითმინოს და აიტანოს ბუნების მკაცრი მოვლენა და თუ მაინც და მაინც არ დაიშლის და შეებრძოლება, იმ შემთხვევაში უნდა ბუნებაზედ ათ წილად მძლავრი და მოხერხებული იყოს კაცი. რადგანაც ამისთანა ძალა ჩვენს სოფლელებს ჯერ-ჯერობით არ მოსდევთ, ამიტომ აგი უთმენენ და ურიგდებიან.

მაგრამ როგორ უნდა მოურიგდეს იმისთანა გარემოებას, როგორ უნდა მოითმინოს ის მოვლენა, რომელიც ბუნებით არ არის მოვლენილი, არამედ ისევ კაცისაგან არის წარმოგზავნილი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კაცმა ბრძოლა უნდა გაუწიოს ამ მოვლენას და თუ ბრძოლის შეძლება არა აქვს, ზურგი მაინც უბრუნოს. მე მოგახსენებთ იმ გარემოებასა და მოვლენაზედ, რომ სოფელს, ეს თითქმის ნახევარი წელიწადია, მღვდელი არა ჰყავს. კონდოლი გაიყოფება ორ მოზრდილ სამრევლოთ და ჰყავს... ჰყავს კი არა, ჰყავდა ორი მღვდელი და ეხლა არც ერთი. ერთი მღვდელი გადაყენებულია საქმის გარჩევამდის საჩივრით, რომელიც აღძრეს სოფლის „ადვოკატებმა“, მეორე მღვდელი-კი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ორივე მრევლი, ეს რამდენიმე წელიწადია ავად არის და თავის მოვალეობას ველარ ასრულებს. თუ არის რაშიმე დამნაშავე ავადმყოფი მღვდელი, მხოლოდ ის ბრალი აქვს, რომ აქამდისაც უნდა შეეტყობინებინა მთავრობისათვის, რომ წირვა არ შეუძლიან და განაწესეთ ჩემს მაგივრად სხვა მღვდელიო.

ჩვენ აქ იმას არ გამოვუდგებით, ვინ არის დამნაშავე და ვინ არის მართალი: ბრალდებული მღვდელი, თუ ბრალდებულნი „ადვოკატნი“, ამას თვით სასამართლო გაარჩევს, სადაც იმათი საჩივარია წარდგენილი. ჩვენ იმას გამოვეკიდებით და ვიტყვით, რომ რა შუაში არის აქ სოფელი, რა შუაშია მისი აქ სრესა და ჩულუტა, რა შუაშია მისი დვთისა, ჯვრისა და სახარების დავიწყება, მკვდრისა და ცოცხლების მოუხსენებლობა, ამ დიდ-მარხვაში უზიარებლობა? რა შუაშია სოფელი ამისთანა ცეცხლსა და კაებში იყოს? 19 დეკემბრისთვიდგან ხსენებული მღვდელი გადაყენებულია, და აქამდის მარტო ორჯელ იყო წირვა, ისიც კაითა და კაგლახით. რა უნდა ჰქმნას ხალხმა ამ დიდ-მარხვაში, ვის მიადგეს კარს, ვის გაუზიაროს თავისი ცოდვები და ვის შემწეობით შესთხოვოს ღმერთს შეწყნარება და პატიება, ვის ხელით მიიღოს წმინდა საიდუმლო და განიწმინდოს და განიბრწყინოს თავისი სული და გონება?!. ჩვენი ბლაღოჩინი ისე ახლო სდგას, რომ მგონი შეეძლო და იმისი ვალიც არის, აქამდისინ ყურადღება მიექცია ამ სამწუხარო გარემოებისათვის და მალე წამალი დაედო იარასათვის, აქამდის არ მიეყვანა საქმე, რომ საგაზეთოდ გახადნა ჩვენი გოდება და ტირილი...

ეს ორი უბედურება და უწესოება სოფლისა: ერთი ბუნების სიმკაცრე-შეუბრალებლობა და აქედგან წარმომდგარი ხალხის ხშირი სიკვდილი, სოფლის დაქვეითება და მეორეს მხრივ ზოგიერთთა საზღვარ გასული უყურადღებობა და აქედგან წარმომდგარი ხალხის სარწმუნოების დამხუნება, დაცემა და დავიწყება. მეორე გარემოებასაც მოგახსენებთ: ეს მესამე მხარე გახლავთ სოფლის სასწავლებელი, და როგორ შეიძლება, რომ ეხლანდელს დროში კაცმა ორიოდე კალმის მოსმით მაინც არ მოიხსენიოს სასწავლებელი და არ აღნიშნოს მისი ავან-ჩავანი. ოცი წელიწადი გახლავთ, რაც კონდოლში სასწავლებელი არსებობს.

---

სანაწილეები, რომლებშიაც ინახება წმიდა ნაწილები წარწერით ზევითგან. მარჯვნივ მხარეს დაკრძალულია შემდეგი ნაწილები: 1) მოსეს კვერთხის ხე, 2) სვეტი-ცხოვლის ხე, 3) ნინოს ჯვრის წმიდა ჭერი, 4) წმ. ეფთვიმე, 5) წმ. მინა, 6) წმ. ევგენი, 7) მეორე კუზმან, 8) თავი მოწამის გიორგისა, 9) წმ. თეოდორე, 10) სვიმონ მეტა მანდრა, 11) წმ. ანტონი, 12) წმ. ისიდორე, 13) სტეფანე ახალი, 14) წმ. მოწამე არტემი, 15) ინე სინელი, 16) წმ. დომენტი მელეტინელი, 17) წმ. ანტიპა, 18) სვიმონ საკვირველ მომქმედი, 19) დიდი ბასილი, 20) ოქროპირი იოანნე, 21) ეგნატე, 22) წმ. პროკოპი, 23) წმ. ბიქტორ, 24) გრიგოლ ნუსელი, 25) წმ. ხარლაპთე, 26) ბევრთა ნინუმიდისა დამწვართა, 27) ივანე მოწყალე, 28) წმ. მერკვილი, 29) წმ. ევსტატი, 30) წმ. პანტელეიმონ, 31) წმ. პელაგია, 32) გრიგოლი მესვეტე, 33) წმ. საბა, 34) ამბროსი და პერანგის ძაფი, 35) ყოვლად წმიდის თმა, 36) წვერი ქრისტესი, 37) ძელი ქრისტესი, 38) ღრუბელი ქრისტესი, 39) ნათლის მცემელი იოანნე, 40) წმ. თეკლე, 41) ანდრია კრიტელი, 42) წმ. ქრისტეფორე, 43) გრიგოლ ღვთის-მეტყველი, 44) თომა მოციქული, 45) ანდრია მოციქული, 46) წმ. მაკრინა, 47) ევსტრატი, 48) წმ. მოდესტი, 49) გრიგოლ აკრაკანტელი, 50) ბართლომე მოციქული, 51) სისხლი ქრისტესი, 52) ქვა ქრისტეს საფლავისა, 53) თოკი ქრისტესი, 54) ლოდი, 55) იაკობ ძმა უფლისა, 56), წმ. მეფე კონსტანტინე, 57) ორმეოცთა, 58) წმ. ანდრიანეს თხები, 59) წმ. კვირილე, 60) წმ. მოციქული ონისიმე, 61) წმ. გიორგი, 62) დიმიტრი, 63) ივანე მახარებელი ჯვარზედ რომ იჯდა, 64) დიდი მთავარ-მოწამე სტეფანე, 65) წმ. კვირიკე, 66) წმ. მარინა, 67) წმ. ეკატერინე, 68) წმ. თეოდოსი, 69) წმ. ნიკიტა, 70) ზაქარიას ტყავი, 71) წმ. კოზმან, 72) წმ. დამიანე, 73) წმ. ორესტი, 74) წმ. ნიკოლოოზ მოწამე, 75) წმ. ევგენი, 76) წმ. მარდარი, 77) წმ. ავქსენტი, 78) წმ. მინადორა, 79) წმ. ბარბარა, 80) ანასტასია სპარსი, 81) მრავალთ მოწამეთა და წმიდათ ნაწილი, 82) წმ. ანასტასია რომი, 83) წმ. მოწამე აკვილა, 84) წმ. კლიმი, 85) წმ. ალაგთ მიწა, 86) წმ. ევლამპია, 87) წმ. სერგის, 88) წმ. ბაქოს, 89) წმ. მოწამე ვალენტი.

ნაწილებიან ხატს აქვს სიგრძეზედ თერთმეტი ჩამოყოლება, სიგანეზედ რვა-რვა გაყოლება, მხოლოდ ერთს წრეზედ ცხრა გაყოლებაა.

ყოვლად წმიდის თმა დაკრძალულია გამსჭვირვალე ჰურჰელში. ქრისტეს წვერი, რომელიც ეგლიჯნათ მაცხოვრისთვის მწვალებლებს და რომელიც, გარდმოცემით, ელიოზს მოუტანია, დაკრძალულია საგანგებო პატარა გამსჭვირვალს ჰურჰელში, რომელსაც ორი წითელი და ორიც ლურჯი ქვები უსხედს ოთხივ მხარეს. ქრისტეს სისხლი, რომელიც მაცხოვრას სდიოდა ჯვარზედ და რომელიც იმის მორწმუნეს მოუტანია საქართველოში, შენახულია გრძელ ყურიან ოქროს ჰურჰელში. ძელი ცხოველი არის ნაწილი ქრისტეს ჯვრისა, რომელიც მეოთხე საუკუნეში იმპერატრიცა ელენემ იპოვნა გოლგოთას მთაზედ და რომლის ნაწილიც იმპერატორმა კონსტანტინემ გამოუგზავნა მეფე მირიანსა მეგობრობისა და ძმობის ნიშნად.

ნაწილიანს ხატს შემდეგი წარწერა აქვს ძირს: „გამგვეთ ხატი ესე მრავალ ნაწილიანი ჩვენ მეფემან შარავანდედმან ქართლისა და კახეთისა, რანისა და სამცხე საათაბაგოსა მწყემსმან და მაკურთხეველმან კათალიკოზმან პატრიარქმან დომენტი ცოდვათა ჩვენთა და აწ შვედრები, მრავალ-მოწყალეო ღმერთო, მამით, ძეთ და სულო წმიდაო და ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო შემიწყალე და გამწმიდე ყოვლისა ცოდვისა და ბიწისაგან და ყოვლისა სატანჯველისა და ეშმაკთა ხელისაგან“. ნაწილებიანის ხატის წარწერას კიდევ ისა აქვს შესანიშნავი, რომ წარწერის ყოველ ცალკე სიტყვის თავში და ბოლოში არის და ხატული ნაწილი △.

კანკელის მარცხნივ მხარეზედ დაკრძალულია შემდეგი წმიდა ნაწილები წარწერით: 1) წმ. გიორგი, 2) წმ. დიმიტრი, 3) წმ. პროკლი, 4) წმ. თევდორე, 5) წმ. ევსტატე, 6) წმ. გრიგოლი ღვთის-მეტყველი, 7) წმ. იოანნე ნათლის-მცემელი, 8) წმ. სვიმონ მიმრქმელი და ძელი, 9) წმ. აბიბოს მოციქული, 10) წმ. პეტრე ალექსანდრელი, 11) წმ. მარინე, 12) წმ. მარიამ მაკედონელი, 13) წმ. ეკატერინე, 14) წმ. ბარბარეს თხები და თმა, 15) წმ. ირინე, 16) წმ. ალექსი კაცი ღვთისა, 17) წმ. ბასილი კესარიელი, 18) წმ. ტიმოთე მოციქული, 19) წმ. იოანნე ოქროპირი, 20) წმ. გრიგოლ აკრაკანტელი, 21) ნიკოლოოზ მირონ ქალაქელი, 22) წმ. გრიგოლ დიოლოღე, 23) წმ. მიქელ კონსტანტინეპოლელი, 24) წმ. გრიგოლ სანაძელი, 25) წმ. მიქელ პარაგელი, 26) წმ. იაკობ ძმა უფლისა, 27) წმ. პირველ მოწამე სტეფანე, 28) წმ. კოზმა და დამიანი, 29) წმ. იაკობ დაჭრილი, 30) წმ. დიდი მეფე კონსტანტინე.

მარჯვნივ მხრის ხატის წარწერა ხუცური ასოებით არის, მარცხნივ მხრის—მხედრულის ასოებით.

საკურთხეველში ტრაპეზზედ სდგას სანაწილე შემდეგის წარწერით: „შემოგწირე სასოსა... ჩვენსა სვეტსა ცხოველსა და კვართსა უფლისასა სახსრად სულისა ჩემისა და ძეთა და ასულთა ჩემთა სადღეგრძელოდ და მოსახსენებლად ღვთისადმი განსვენებულისა კეთილ-მორწმუნის საქართველოს მეფის გიორგის მის გაბრიელისად, საქართველოს დედოფალმან მარიამ მისხალი ცხრაას ოც-და ცხრა სანაწილე სულ ჩყიზ (1817) წელსა ივლისის კ (20) დღესა.

გარდა ამისა ტაძარში დაცულია რამდენიმე ძველის დროის გარდამოხსნა და ოქროს ბარძიმი, მეფე ერეკლე დიდისაგან შემოწირული...

(დასასრული იქნება)

სასწავლებელს ინახავს ოთხას კომლზედ მეტი ხალხი. გარდასახადი სკოლისა არ შეიძლება ითქვას, რომ ბევრი იყოს, და ქართლთან შედარებით-კი ცოტაც აქვს. მაინცა და მაინც ამოდენა ხნის განმავლობაში სასწავლებელს ცოტა ნაყოფი აქვს გამოღებული: ნეტავი მეოცედს, ან მეორმოცედს ესწავლოს წერა-კითხვა. უმცირესი ნაწილი მალიან ეტანება სკოლას, ასე რომ სკოლა თავისის სივიწროვით ვერც-კი აკმაყოფილებს იმათ მოთხოვნილებას და ვერ უკლავს სწავლის წყურვილს. უმრავლესი ნაწილი-კი არ ეტანება სკოლას და სულ იმის ცდაშია, როგორმე მოსპოს მისი არსებობა. ამ ბოლოს დროს-კი სასწავლებელმა ბევრი შემოიფრთხო იმ მიზეზით, რომ შემოიღო ახალი წესი: სახელმძღვანელოსი და სასწავლო ნივთების გასყიდვა, რომელიც წინად მუქთად ეძლეოდათ ბავშვებს. ამ მიზეზით თითქმის ნახევარი მსურველთა რიცხვისა მოაკლდა სასწავლებელს, რადგანაც მშობლებს შეძლება არა აქვთ წლიწადში იხადონ 1 მ. 50 კ., ან 2 მ. სახელმძღვანელოს ფული.

მე ჩემის მხრით მინდა, რომ ეს ხალხის გულცივობა, მისი არა სურვილი სწავლისა მივაწეროთ სკოლის უნაყოფობას, მაგრამ მრცხვენიან, ცოტა ტყუილი გამოვა: იმერეთში უფრო ცუდს მდგომარეობაშია სასწავლებლები ყოვლის მხრივ, მაგრამ იქ ზოგ სოფლებში ორი-სამი სასწავლებლია და ბავშვების მიღების დროს ისეთი ალიაქოთი და დავიდარაბა აქვთ, რომ გიმნაზიებშიაც ვერ ჰნახავთ იმისთანა სურათს. ასე რომ ჩვენის ხალხის უყურადღებობა სკოლის მიმართ უნდა მივაწეროთ ისევ ხალხსა და არა სკოლას. მიზეზია ხალხის მოუმწიფებლობა და იმისი ჯერ გაუღვიძებელი სურვილი.

გ. საყვარელიძე

## წერილი პარიჟიდგან

### ემილ ზოლა სასამართლოს წინაშე

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

გამოიხმეს მოწმე ექსპერტი ბერტილიონი.

ლაბორი. იცით თქვენ რა არის ბორდერო? რას ჰფიქრობთ იმის შესახებ?

ბერტილიონი. მე დარწმუნებული ვარ, ბორდეროს ავტორი ესტერგაზი არ არის, არამედ დრეიფუსია. ბორდეროს გამოსაკვლევად მე ვიხმარე ჩემგან გამოგონილი გრაფიული სისტემა და იმით დავამტკიცე, რომ ბორდერო დრეიფუსის დაწერილია.

კლემანსო. არ შეიძლება ეხლა დაამტკიცოთ და გაგვაცნოთ თქვენი სისტემა.

ბერტილიონი. ეხლა არ შემიძლიან, რადგანაც ფოტოგრაფიული ფირფიტანი, რომელიც ამ საქმისათვის ვიხმარე, ჩემი საკუთრება არ არის. გარდა ამისა, ეს თეორეთიული კურსია.

ლაბორი. რა ნაირია ბორდეროს ნაწერი?

ბერტილიონი. არა მსურს მაგის პასუხი მოგიგოთ. მე არ მინდა დრეიფუსის საქმეს დავუბრუნდე.

თავმჯდომარე. თქვენ ბორდეროსას გკითხავენ.

ბერტილიონი. მე არა მსურს დრეიფუსის საქმეს დავუბრუნდე.

ლაბორი. მე მგონია, თქვენ, როგორც ექსპერტს, შეგიძლიანთ სინათლე მოჰფინოთ ამ საქმეს. მე გეკითხებით როგორც ექსპერტს, რა აზრისა ხართ ბორდეროს შესახებ და რით დაამტკიცეთ, რომ იგი ესტერგაზის ნაწერს არა ჰგავს.

ბერტილიონი. მე არა მსურს იმ საქმეს დავუბრუნდე, რომელიც 1894 წელს იქმნა სასამართლოს მიერ განხილული.

კლემანსო. შეგიძლიანთ, ბ-ნო მოწმე, თქვენის სისტემის საშუალებით დაამტკიცოთ, რომ ეგ ხელნაწერი სხვა რომელიმე ავტორს არ ეკუთვნის?

ბერტილიონი. მაგის შესახებ არა მსურს ლაპარაკი.

ლაბორი. აი, ბატონო მოსამართლენო, რანაირი ექსპერტი სდგას თქვენს წინაშე.

შემდეგ დაიბარეს მოწმე უბარდი, ექსპერტის ბერტილიონის ნათესავი.

უბარდი. ერთხელ ჩემთან ბერტილიონი მოვიდა და მითხრა, ისეთი სისტემა გამოვიგონე, რომლის საშუალებით დავამტკიცე, რომ ბორდერო დრეიფუსის დაწერილიაო. ამასთან ამიხსა კიდეც თავისი სისტემა. როდესაც ბორდერო გაზეთებში დაიბეჭდა, მე ბერტილიონის სისტემის საშუალებით შევადარე ესტერგაზის ნაწერი ბორდეროს ნაწერს და მათ შორის საშინელი მგზავსება ვპოვე. ამისათვის ჩემს ბიძაშვილს ბერტილიონს მივმართე, მაგრამ იმან მომიგო: „არა მსურს დრეიფუსის საქმეს დავუბრუნდე, რადგანაც ეგ სოციალურ რევოლიუციას გამოიწვევსო“.

მოწმე ტეისონიერი, მეორე ექსპერტი. ერთი ჩემი ამხანაგი, გრაფოლოგი კრეფიე-ჟამენი ძალიან ხშირად მელაპარაკებოდა ხოლმე დრეიფუსის საქმის შესახებ. ერთს საღამოს კრეფიე-ჟამენმა ლაპარაკის შემდეგ ერთბაშად მკითხა: რამდენი აიღეთ ბორდეროს გამოკვლევაშიო, მე ვუპასუხე: 200 ფრანკი მეთქი. თქვენ შეგეძლოთ 200 ათასი აგეღოთო, — მომიგო. მე სიტყვა აღარ დავათავებინე და ვუთხარი, ჩემს სინიდისს არას დროს არ გავყიდი, ღარიბად რომ ვიცხოვრო, ის მირჩევნია მეთქი.

ლაბორი. რანაირია ბორდეროს ხელთნაწერი?

ტეისონიერი. ბორდეროს ხელთნაწერი გადასხვაფერებულია დრეიფუსის ხელთნაწერისაგან. მე სხვა-და-სხვა საშუალებით გამოვიკვლიე და დავრწმუნდი, რომ ბორდერო დრეიფუსის დაწერილია.

ლაბორი. ვინ გადასცა ბორდეროს ფოტოგრაფია „მატენის“ რედაქციას?

ტეისონიერი, არ ვიცი.

მოწმე ტრარიო, სჯულის საქმეთა მინისტრად ნამყოფი. ბ-ნ ტეისონიერს თავისი აზრი გამოუცვლია. როდესაც მინისტრად ვიყავი, ერთხელ ტეისონიერი ჩემთან შემოვიდა და მითხრა: მე რომ არ ვყოფილიყავი, დრეიფუსს სამხედრო სასამართლოში გაამართლებდნენ, რადგანაც ექსპერტი ბერტილიონი გაუგებარი კაციაო“.

ტეისონიერი. მე ეგ იმისთვის ვთქვი, რომ ბერტილიონის წესი ხელთნაწერის გამოკვლევისა ფანტასტიური იყო.

მოწმე შარავაი, მესამე ექსპერტი. მე სათქმელი არა მაქვს-რა. არა მსურს დავუბრუნდე დრეიფუსის საქმეს.

მოწმეთ პელუტიერმა და გობერმა, ექსპერტებმავე განაცხადეს, რომ ჩვენ არა გვგონია ბორდერო კაპიტან დრეიფუსის დაწერილი იყოსო.

მოწმეთ კუარდმა, ბელომ და ვარინარდმა, მეორე სამხედრო სასამართლოში ესტერგაზის საქმის გარჩევის დროს ექსპერტებად ნამყოფთ, განაცხადეს, რომ ბორდერო ესტერგაზის არ ეკუთვნისო.

გენერალი გონზი. მე მსურს პასუხი მივცე ბ-ნ ჟორესს. იმანა სთქვა, რომ საგენერალო შტაბს არ უნდოდა საქმის გამოძიებაო. გამოძიება დიდი ხანია დაწყებულია, მაგრამ ჩვენ ჯერ ვერავითარს დასკვნას ვერ დავადექით. ჩვენა გვსურს ამ საქმეს სინათლე მოვფინოთ. გარდა ამისა, ახალშენელი პიკარი მე კარგ აფიცრად მიმაჩნია.

ლაბორი. ეხლა ჰსურს საგენერალო შტაბს სინათლის მოფენა? ეხლა ჰსურს სინათლე, როდესაც ბორდერო დაიბეჭდა, ახალშენელმა პიკარმა თვალები აგვიხილა და როდესაც ექსპერტებს შორის ისეთი კაცი აღმოჩნდა, როგორიც ბ-ნი ბერტილიონია?!.

გამოიხმეს მოწმე პოლ მაიერი, კოლეჟ დე-ფრანსეს პროფესორი.

ლაბორი (მაიერს) გინახავთ ბორდერო! თუ გინახავთ, რას ჰფიქრობთ იმის შესახებ?

პოლ მაიერი. ვნახე ის ბორდერო, რომელიც დაბეჭდილი იყო „მატენსა“ და ბერნარდ ლაზარის წიგნაკში. მოვიწვიე მცოდნე კაცები, ერთად გავსინჯეთ ყველა ნაწერები და დავასკვენით ჯერ ერთი ის, რომ დრეიფუსისა და ესტერგაზის ნაწერს შორის დიდი მსგავსება არის და მეორე ის, რომ ბორდეროს ნაწერი ძალიან ჰგავს ესტერგაზის ხელს. ხოლო ბორდერო ესტერგაზის დაწერილია თუ არა, ეგ-კი დამტკიცებით არ ვიცით.

მოლინიერი, ხელოვნების სკოლის პროფესორი. ის განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც მე ბორდეროში შემხვდა, ესტერგაზის ნაწერშიაც არის, ამისათვის ამ ორ ნაწერს შორის დიდი მსგავსებაა.

მოწმეთ: კოლეჟ ფონტენეი-დეკონტის პროფესორმა სელმიერმა, პოლიტეხნიკუმის პროფესორმა გრიბოდმა, სერბონის პროფესორმა დუიავტმა და პალეოგრაფმა ბურმინმა განაცხადეს, რომ გამოქვეყნებულ ბორდეროს ფოტოგრაფსა და ესტერგაზის ნაწერს შორის დიდი მსგავსება არისო. ბორდეროს ავტორი ესტერგაზი უნდა იყოსო.

გ.

(შემდეგი იქნება)

## ნაკვესი

— ბ-ნო ვიქტორ, ისე ხშირადა გვხედავს ხალხი ერთად, რომ ცოლქმარი გვგონივართ.

— დეე ეგონოთ, ოღონდ ნამდვილად-კი აგრე ნუ იქმნება და.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გასულ ზაფხულს ქალაქ ანტვერპენში გამოსცადეს მერცხლის ფრენის სისწრაფე. ანტვერპენის მცხოვრებს ვერშვერენს დაუჭერია მერცხალი, ნიშანი დაუდვია მისთვის წითელის წამლით და ჩაუბარებია ერთის კაცისათვის, რომელიც ქალაქ კომპიენში მიდიოდა, ამ ქალაქში რომ მიხვალ ეს მერცხალი და მტრედები გამოუშვიო. ვაჭარს ქალაქ კომპიენიდგან ერთსა და იმავე დროს გამოუშვია ეს მერცხალი და მტრედები 17 ივნისს, დილის 7 საათსა და 15 წუთზე. მერცხალი ისარივით გაექანა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, მტრედები-კი ჯერ დიდ-ხანს ფრინავდნენ ჰაერში, ვიდრე ანტვერპენისაკენ გზას დაადგებოდნენ. 8 საათსა და 23 წუთზე მერცხალი უკვე გაჩნდა ანტვერპენში და გაოცებულმა ვერშვერენმა ჰნახა, რომ მერცხალი თავისს ბუდისაკენ გაეშურა. ამ ამბის მოწმად მრავალი კაცი ყოფილა, რომელნიც დიდს ყურადღებას აქცევდნენ ამ გამოცდას. კომპიენიდგან წამოსული მტრედები-კი ანტვერპენში მხოლოდ დილის $11^1/_2$ საათზედ გამოჩნდნენ. კომპანიესა და ანტვერპენს შორის 236 ვერსია. ეს მანძილი გამოუვლია მერცხალს 1 საათსა და რვა წუთში, მაშასადამე ერთს საათში გაუვლია 207 ვერსი. მტრედებს-კი საათში 57 ვერსი გამოუვლიათ. სწორედ რომ საოცარია ასეთი სისწრაფე მერცხლისა. ჩრდილო აფრიკიდგან ბელგიამდე მისვლას მერცხალი მხოლოდ ნახევარ დღეს უნდება.

## გამოსადეგი ცნობა

მმარს ასე უნდა შენახვა: ჩაასხით ბოთლებში, ჩასდგით ცივის წყლით სავსე ქვაბში და წყალი ადუღეთ 15—20 წუთს. მერე დაატადეთ წყალს, რომ გაცივდეს, ამოიღეთ მმრით სავსე ბოთლები და შეინახეთ. რა თქმა უნდა, მმრის ბოთლებს პირები დაცული უნდა ჰქონდეთ.

## შილდის დეპოს ანგარიში.

15 იანვარს ამა წლისას წლიური კრება იყო შილდის დეპოს წევრთა წლიურის ანგარიშის განსახილველად. ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ წარსულს წელს დეპოს გაუყიდნია 15,043 მან. საქონელი, ქალაქიდგანა და სხვა ადგილებიდგან მოუტანია 13,200 მან. საქონელი. წმინდა მოგება ყოფილა 743 მან. სათადარიგო თანხად ამ წელს გადაუდვიათ 140 მან. ეხლა დეპოს აქვს სათადარიგო თანხა 240 მან. სამოქმედო თანხა წელს გაზრდილა 375 მან. ეს ფული მოუტანიათ: სალიანიდგან მღ. გ. მირიანაშვილს 25 მან., ქ-ნ ნ. მირიანაშვილისას—25 მან., მიხეილ მირიანაშვილს—100 მან., ქ-ნ მირიანაშვილისას—100 მან. ქ. ერევნიდგან: მღ. ნიკ. ვარდიაშვილს—25 მან., ს. ბეჟანიანიდგან რ. მირიანაშვილს—50 მან. გლეხს ნიკ. გიოშვილს—25 მან., გლეხს ა. გიოშვილს—25 მან., სულ 375 მან. დივიდენდად რგებიათ წილის პატრონთ 16 %. მარტო შაბიამანი და გოგირდი საზოგადოებას გაუყიდნია ს. შილდაში გლეხებზედ 1,200 მან. თითქმის უსარგებლოდ, სულ 2% მოგებით. წელსაც დაუბარებია საზოგადოებას საუკეთესო შაბიამანი და გოგირდი ერთი ვაგონი. დეპოს გამგეობას გარდაწყვეტილი აქვს ამ ზაფხულს აბრეშუმის პარკის აღება მწარმოებლებისაგან, ამიტომ მეაბრეშუმეთ შეუძლიანთ თავიანთი აბრეშუმი გაგზავნონ პირდაპირ შილდაში, საზოგადოების საწყობში, საზოგადოებისავე ხარჯით და რაც მაზანდა იქნება, ფუთზედ 40 კაპ., კიდევ მეტს მიიღებენ უნაკლულოდ. ზოგს ხმა გაუვრცელებია, ვითომც შილდის დეპოს აღარავინ ჰსურდეს წევრებად და არც იღებდნენ ახალს წევრებს, ამიტომ ვაცხადებთ: ვისაც ჰსურს წევრად ჩაწერა, შეუძლიან გამოგზავნოს შილდაში 11 მან. (10 მან. წილის ფული და 1 მან. წევრად შესასვლელი. გარდასახადი). თუ ვინიცობაა ქალაქში მცხოვრებნი მოისურვებენ და ინებებენ დეპოს წევრობას, შეუძლიანთ ფული ჩააბარონ თავ. ს. რ. ვახვახიშვილს, („კახეთის“ საზოგადოებაში).

შილდის დეპოს გამგეობა

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 თებერვალი

**პრაგა.** სეიმი. გრეგრმა განაცხადა, რომ მე პანსლავიზმის მომხრე ვარ იმ მხრივ, რომ მინდა შეერთდნენ ყველა სლავიანები ავსტრიისა და საგერი კავშირი დასდონ ნემეცთა წინააღმდეგ. საქმე შეეხება ავსტრიის მერმისს. ადრესის პროექტის განმარტებამ მთავარ - მართებლის მხრივ უსიამოვნება გამოიწვია. როგორც ეს განმარტება იყო, ისე პასუხი ჩეხებისა მოკლე იქნება სადა და ცხადი.

**ათინა.** კორდიცი დისწულია პრეფექტისა. იგი ერთხელ სამართალში იყო მიცემული კაცის მოკვლისათვის და სასამართლომ შვიდის წლით საპატიმროში დამწყვდევა გარდაუწყვიტა. ეს სასჯელი გარდაიხადა და მან მონაწილეობა მიიღო კრიტის ამბოხებაში. ასს ნაბიჯზედ იმ ადგილიდგან, სადაც მკვლელობა უნდა მოეხდინათ, იპოვნეს დინამეტით სავსე ყუმბარა. პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ათინაში არსებობს ანარხისტთა წრე. ქაღალდები ამ წრისი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ეს ბოროტ მოქმედება დიდი ხანია ჰქონიათ განზრახული, პოლიციას ჩაუვარდა ხელში, ამ წრის წევრნი დაპატიმრებულნი არიან. კორდიცის თანამონაწილეც, მაკედონელი ხელოსანი, რომელსაც სახელად გიორგი ეწოდება, დაპატიმრებულია.

## წერილი რედაქციის მიმართ

რადგან არ ძალმიძს ყველას, ვინც ჩემისა და ჩემის შვილების მწუხარების ჟამს საყვარელის მეუღლის ჩემის გენერალ-ლეიტენანტის თავადის გრიგოლ ალექსანდრეს ძის შარვაშიძის გარდაცვალებისა გამო სამძიმრის დეპეშები და წერილები გამოგვიგზავნა, სათითაოდ პასუხი გავსცე, გაზეთის საშუალებით მოვახსენებ მადლობას.

კნეინა აღათი შერვაშიძისა

## განცხადებანი

## ახალი მანქანა

ღვინის ვაჭართათვის.

მივიღეთ გასასყიდად მაჩვენებელი, რომელიც მუდამ ჟამს ღნიშნავს ღვინის ფერს და აგრედვე იმას, თუ რამდენად მღვრივეა ღვინო და გასდის თუ არა ღვინის ბოჭკას. გვაქვს აგრედვე გასასყიდად ღვინის ამოსაღებები და სხვა-და-სხვა ღირსების შირას (რეზინის) მილები.

სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა, მ. ჯუგანიანცის საწყობი.

(1—40—1).

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუელობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

---

*) იხილე „ივერია“ № 35

Дозволено цензурою, Тифлисъ 18-го Февраля 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.